



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ზუხბა მინადორა ივანეს ასული



ზუხბა მინადორა ივანეს ასული [6(19).XI.1909, სოფ. ლუმურიში, ახლანდ. გალის მუნიციპალიტეტი, - 1998, სოხუმი], აფხაზი მსახიობი. საქართვე. (1958) და აფხ. (1960) სახ. არტისტი. სასცენო მოღვაწეობას ეწეოდა 1935-იდან, აფხაზეთის ს. ჭანბას სახ. დრამ. თეატრში (სოხუმი). 1939 დაამთავრა თბილ. შოთა რუსთაველის სახ. თეატრთან არსებული თეატრ. სტუდია (აფხ. სექტორი). იყო ა. ხორავასა

და ა. ვასაძის მოწაფე. ზ-ს სცენური შემოქმედება გამოირჩეოდა სინრფელით, ტემპერამენტით, გარდასახვის უნარითა და მაღალი პროფ. კულტურით. წარმატებით ასახიერებდა სახასიათო, კომედიურ და ტრაგიკულ როლებს, რ-თა შორის მნიშვნელოვანია: გუნდა (შ. ფაჩალიას „გუნდა“), სოფი (მ. შავლობოვის „საქმრო“), ხანუმა (ა. ცაგარლის „ხანუმა“), დედა (კ. აგუმაას „დიდი მინა“), ზიზა, კარამსადა (შ. ფაჩალიას „დიდი ქორწილი“, „სოლუმანი“), სოფიო (მ. გორკის „უკანასკნელი“), შასია (მ. ლაკერბაის „დანაყაი“), გეინაბი (ა. სუმბათაშვილის „ლალატი“), მედეა (ევრიპიდეს „მედეა“) და სხვ. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

შ. ცუცქირიძე